ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N76/გ

ქ. მცხეთა 30 მაისი 2014 წ

ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტი, შემდგომში „შემსყიდველი", საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გიორგი ატაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ბელ-ფუდი", შემდგომში ,,მომწოდებელი", წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი აბესაძის სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე; (წარმომადგენლობითი ხარჯი)

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 2014 წლის 01 ივნისს ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გასამართ კულტურულ ღონისძიებაზე ბავშვებისთვის გადასაცემი ბურბუშელას შესყიდვა. (CPV92300000).(ინვოისი თან ერთვის)

2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 საქონლის მიწოდების ვადაა 2014 წლის 01 ივნისი.
2.2 მომსახურების საერთო ღირებულებაა 210 (ორასათი) ლარი.

3. მხარეთა უფლება – მოვალეობები

31 „მომწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:
3.1.1 უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში, შესაბამისი ხარისხის.
3.2 ,,შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:
3.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა გაწეული მომსახურების მიხედვით.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

4.1 თუ „მიმწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
42 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
4.3 საქონლის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მომწოდებელს" არ აუნაზღაუროს მისაწოდებელი საქონლის ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

6. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

6.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ფორს – მაჟორი

7.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

8.2 თუ `მიმწოდებელი" და `შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. სხვა პირობები

9.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

9.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

9..3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

10. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

10.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებების გაერთიანებების გენერალური დირექტორი გოჩა ქავთარაძე.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2014 წლის 29 აგვისტოს ჩათვლით.

12 . ანგარიშსწორება

12.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

მცხეთის მუნიციპალიტეტი
მის: ქ. მცხეთა,ანტიოქიის ქ. 7
ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი"-ს
მცხეთის ფილიალი
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE93LB0120130269077000
ს/კ 236094196
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

გ. ატაშვილი

მომწოდებელი

შპს „ბელ-ფუდი"

მის: ქ. თბილისი, ფონიჭალის დასახლება
ბანკი: სს „ბაზის ბანკი"

ბანკის კოდი: CBASGE22
ა/ა GE36BS0000000028536042
ს/კ 206342527
Tel: 597724242

გ. აბესაძე